



მოდერნი

1991
ხუთშაბათი
15
კვირის
№97 (10490)
შპსი 5 კაპ

საქართველოს სახელმწიფო აკადემიის წიგნთსახეობის გამოცემა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

10 აპრილის მუშაობის განაგრძობდა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა. გადაუტარებლად შეიძლება ითქვას, რომ სიმბაზრობა და დებუტატების მწვავე მსჯელობით იგი სულაც არ ჩამოუვარდებოდა წინა დღის სხდომას. დებუტატები წარმოადგენდნენ სხვადასხვა თვალსაზრისს ამა თუ იმ განსახილველ საკითხზე. საერთოდ, პარლამენტის უკანასკნელი სხდომებით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ითქვას, რომ მან უკვე შეიძინა მოწინააღმდეგეობის საჭირო დონე. ამას მოწმობს თითოეული დებუტატის სერიოზული, გააზრებული მუშაობა კანონპროექტების რედაქციას, მსჯელობის პრინციპულა და იმისადმი მისწრაფება, რომ სრულყოფილი სახე მიანიჭონ თითოეულ დოკუმენტს.

მუშაობის დაწყების წინ დებუტატებს მიესალმა სლოვენის ტერიტორიის მინისტრი ინგო პაში, რომელმაც შეახსენა დამსწრეთ საქართველოსა და სლოვენის ტრადიციული გულთბილი ურთიერთობა და ქართველ ერს უსურვა წარმატებანი მის რთულ ბრძოლაში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

უზენაესმა საბჭომ პირველი წაკითხვით მიიღო კანონები საკუთრების საფუძვლებისა და საიჯარო ურთიერთობათა საფუძვლების შესახებ ისე, რომ რაიმე განსაკუთრებული გართულება ამას არ მოჰყოლია. ამ დოკუმენტების მნიშვნელობა ცხადია, მაგრამ დებუტატები, დრო რომ დაეზოგათ, დიდხანს არ გაჩერებულან მათზე, რადგან საბოლოოდ მიღებამდე ამ კანონებზე ჯერ კიდევ უნდა იმუშაონ.

შემდეგ უზენაესი საბჭოს მრეწველობის, ენერჯეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ ბაკურ გულუამ დებუტატებს წარუდგინა საინვესტიციო საქმიანობის შესახებ კანონის პროექტი. მისი განხილვის დროს აღიძრა უშუალოდ საინვესტიციო საბჭოს საკითხი და არცთუ შემთხვევით. საინვესტიციო საქმიანობა ის სფეროა, სადაც საბაზრო ურთიერთობის პირობებში სულაც არ იხსნება დღის წესრიგიდან ზრუნვა თითოეული დასარჩული მანეთის მაქსიმალური უკუგებისათვის, რაც თავისთავად. რა იქნა უნდა, არ გულსხმობს მუშაობის ძალით შეზღუდვას.

საინვესტიციო საქმიანობის შესახებ კანონის მიღებით უზენაესმა საბჭომ ამოწურა დღის წესრიგის ის ნაწილი, რომელიც წარმოადგენდა იყო რესპუბლიკაში ეკონომიკური ურთიერთობების მარეგულირებელი კანონების პაკეტი.

ამის შემდეგ უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის წევრმა თენგიზ ჩაჩავამ განსახილველად გამოიტანა სესიის წინა სხდომაზე პირველი წაკითხვით მიღებული კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ. კამათში გამოსულმა დებუტატებმა გამოთქვეს თავიანთი შენიშვნები და ამავე დროს კანონპროექტი მიიჩნიეს ერთ-ერთ საუკეთესო კანონპროექტად, რომელიც შეესაბამება დემოკრატიული საზოგადოების ყველა მოთხოვნას, უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება ამ კანონის სამოქმედო შემოღების შესახებ და დაამყარა საქართველოში კონსტიტუციური

ად უკვე ფაქტობრივად ჩამოყალიბებული მრავალპარტიულობა რომლის წყალობით მოხერხდა შარშან შემოდგომაზე პარლამენტის არჩევნების, ამა წლის გაზაფხულზე პრეზიდენტის არჩევნების მოწყობა.

კანონი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ. მან, ალბათ გადააჭარბა ყველა წარმოდგენილ და წარმოდგენილ რეკორდს როგორც დამუშავების სიღრმის თვალსაზრისით, ისე განხილვის ხანგრძლივობითა და სიმწვავეთ. ეს ბუნებრივიც არის. ის, თუ რა კრიტერიუმები უდევს საფუძვლად საზოგადოების სხვადასხვა ინსტიტუტის ფუნქციონირებას, ხომ ყველაზე უფრო მკაფიოდ გვინდობს სწორედ მასობრივი ინფორმაციის თავისუფლების დონით. ამიტომ უზენაესი საბჭომ, რომელმაც ორჯერ განიხილა ეს კანონპროექტი, არანაკლები მომსახურებით მიუღდა მას ამჟამად. შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ კანონის განხილვის დროს საქმაოდ მკაფიოდ გამოჩნდა ორი მთავარი პრობლემა — ური და კონსერვატიული (რა იქნა უნდა, სულაც არა სსრ კავშირში მიღებული თვალსაზრისით). თუმცა ერთსაც და მეორესაც შემოქმედნადათ თავიანთი შენიშვნები, მაგრამ ამავე დროს სთავაზობენ უზენაესი საბჭოს კულტორის, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი კომისიის დამამუშავებელი, რომლის თავმჯდომარე თენგიზ ჩაჩავა პრიციპულად იცავდა კანონპროექტს ყოველ დეტალში. ამის შემდეგ უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება ამ დღის ხნის წინააღმდეგ კანონის უკვე მისი გამოქვეყნებისთანავე სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

სესიამ განიხილა სასოფლო-სამეურნეო, კვების და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთათვის ბანკის ვადაგადაცელებული დავალიანებების ჩამოწერასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის შესასწავლად შექმნილი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დიპლომატიის მთავრობის ერთობლივი კომისიის ანგარიში და საინფორმაციო განცხადებებზე დებუტატების წინაშე გამოსულმა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრმა გელა კობერიძემ წარმოადგინა მასალა უაღრესად უხეში ფინანსური დარღვევების შესახებ, რომლებსაც სახელმწიფო სახსრების განიკლება მოჰყვა. ანგარიშში მოყვანილი იყო იმდენად შეუწყნარებელი ფაქტები, რომ აღმოფოთებულმა დებუტატებმა მოითხოვეს საბოლოო გამოძიება და ბრალულობა აუცილებელი დასაბამით დადგინდებოდა სესიამ რესპუბლიკის კომპეტენტურ ორგანოებს დაავალა დაადგინონ შემადარტება ამ საქმეში.

უზენაესმა საბჭომ მოისმინა სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის მუდმივი კომისიის ანგარიში, რომელიც გააკეთა მისმა თავმჯდომარემ ირაკლი ჩხეიძემ. პარლამენტმა კომისიის მუშაობა არადაამაყუფილებლად ცნო და ცნობად მიიღო მისი ანგარიში. ამავე დროს კომისიის რეკომენდაცია მიეცა უმოკლეს ვადაში ძირფსვიანად გააუმჯობესოს მუშაობა.

საქართველოს რესპუბლიკის დედაქალაქის — თბილისის მმართველობის შესახებ კანონის პროექტის განხილვას გულგრილი არავინ არ დაუტოვებია.

საკმარისად ითქვას, რომ კამათამ საკითხზე თიქმის ორ საათს გაგრძელდა. კამათის შემდეგ სესიამ ერთხმად მიიღო ქალაქის მმართველობის სისტემის მოწესრიგებისათვის ესოდენ საჭირო კანონი.

უნდა ითქვას, რომ სესიის ახლანდელი სხდომის დღის წესრიგი უაღრესად გადატვირთული იყო. დებუტატებმა განიხილეს და მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებანი ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორც არის კანონი იმიგრაციის შესახებ, კანონი საზოგადოებრივი გაერთიანებების შესახებ, კანონი ხელისუფლების აღვილობრივი ორგანოს — საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ, დადგენილება უზენაესი საბჭოტრეკო სსსამართლოს წევრთა არჩევნის შესახებ, მისი პრეზიდენტის შემადგენლობის დამტკიცება, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მთადგლის ანგარიში საკრებულოების არჩევნების, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის, 1991 წლის 26 მაისს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ, კანონი საცხოვრებელი სადგომის და სხვა ნაგებობების თვითნებურად დაკავებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ და სხვა.

ამ სხდომის შემდეგ უზენაესი საბჭოს მუშაობაში ღებება შესვენება ზაფხულის არდადეგებთან დაკავშირებით, რომლებიც სექტემბრამდე გასტანს.

პაპატა ცინცაძე,
თენგიზ ბრიგადაზილი,
საქინფორმის საქარლამენტო კორესპონდენტები.

საქართველოს სახელმწიფო აკადემიის წიგნთსახეობა

კარს მოგვადგას შემოდგომა, ტირანხულის მოწვევის და დაბინავეების შამი. ჩვენი გლეხკაცი ჩვეული გულმოდგინებით იღვწის ნაიზისოდ, რათა მთელი ზაფხული წაამაგარმა არ გააწილოს. ასე იყო ოდიდან, ასეა ახლაც უფრო მეტად. ამჟამად საქართველოში შექმნილი ურთულესი სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციები თავის გულში ღრმად ახედებს დიდსა და პატარას, გაორკეცებული ენერჯითი სასრულმელად აქეზებს. ჩვენი რაიონის სოფლების უმეტესი ნაწილი სწორად აღიქვამს შექმნილ ვითარებას და ცდილობს ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო სა-

ღვწა-გარჯით ავალორძინოთ

მუშაობის დროულად შესრულებას. კარგა ცნობები ისმის ახალგაზრდის, ახალგაზრდების, ნარაუნის, ინჯირის, ჭიბაშკარის კოლმეურნეობებიდან, ორსანთის, ინჯირის, ზედაწერის, ბეცერის და წარაუნის მეურნეობებიდან. როგორც ჩანს, სოფლის გამგებლები და საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელები ახერხებენ ერთობლივი მუშაობის კოორდინირებას, მშრომელთა დაინტერესებას. მაგრამ დასანანი ისაა, რომ ბევრ სოფელში ამავეჯერ ურთიერთ-

შეთანხმებულ საქმიანობას და პასუხისმგებლობას არ იჩენენ. არადა, დრო არ ითმენს, ეროვნულ თვითშეგნებაზე და პატრიოტულ ძაღისხმევაზე ცარიელი სიტყვები თუ კონკრეტული საქმეებით არ დაგვირგვინდა, უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდებით.

საოცრად არ მენიამოვნა, როცა ამასწინათ ადგილობრივმა გაზეთმა „ოდიშმა“ ჩამორჩენილი სოფლების სიაში მოიხსენია ქაჭვიჭვი, ტაიში, ოქტომბერი,

ჭკადუაში, კოლხიდა და სხვები, რატომღაც მინდა მჭეროდეს, რომ ეს მათი დროებითი ჩავარდნა და რადიკალური ზომების გატარებით მალე თავს დააღწევენ ჩამორჩენას.

სოფლის მშრომლებს წინ ელით მკაცრი გამოცდა. შემოდგომის მოსავალს დროულად და უდანაქარგოდ უნდა აღება და დაბინავენა. ყველამ უსურად ვილოთ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდილი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბრძანებულება საქართველოს რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების უდანაქარგოდ აღებისა და დაცვის შესახებ მ აგვისტოს ვაზეთ „ოდიშში“ გამოქვეყნებული ბატონ თ. ყორყოლიანის საგანგებო განკარგულება აღნიშნული კამპანიის მაღალორგანიზებულად გატარების თაობაზე. ყველა სოფელში უნდა შეიქმნას მოსავლის აღების მიმდინარეობისადმი ხელმძღვანელობის მკოორდინირებელი და მკონტროლებელი შტაბი.

სოფელი ქულზე კაცს იბოცეს საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღების გზა აქ გადის.

3. შენგებია.



აქტუალური ინფორმაცია

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საქართველოში მოზარდთა დანაშაულებრივმა ქმედებებმა მართლწესრიგის დარღვევითა...

რა ზომებია მიხედვი იმა. ხათვის, რომ ვინმე ახალგაზრდობა, ამოვირკვეთ დანაშაულებათა ფესვები არასრულწლოვანებში?

— მოზარდები, დანაშაულო... როგორც ძნელია ჩვენთვის ამ ორი ცნების შეთავსება ერთმანეთთან, ოჯახი, სკოლა, საზოგადოება, — აი, ის სოციალური სამყაროები, რომელიც ადუღებებს ბავშვის ცნობიერებას...

აშკარად იგრძნობა ქონებრივი დანაშაულის ტენდენციური ზრდა არასრულწლოვანებში, აგრეთვე მნიშვნელოვნად გაიზარდა ავტომანქანების გატაცების რიცხობრივი მაჩვენებელი.

მოზარდი - დანაშაულის სკამზე

ბრაქტიკა გვიჩვენებს, რომ დანაშაულებრივად არასრულწლოვანთა დიდი ნაწილი იზრდება არაეკონომიკური ოჯახებში, სადაც ხშირია კონფლიქტები, კოლიზიები, შშობელთა განქორწინება.

უახლოეს მომავალში არსებული ვითარების განმუხტვა? — ერთი სტიმულური გარემოება, რომელიც მახრობენიანეთ შემოგვხვევია და ვაუტება მოზარდი თაობის სულიერ და...

არასრულწლოვანთა ჩათრევა წაქეზების პროფილაქტიკის მიზნით. ამასწინათ ჩავატარეთ ერთ-ერთი გამსვლელი რეიდები, რომელშიც მონაწილეობდნენ ჩვენი ქალაქისა და რაიონის საზოგადოებრივი აქტივისა და პედაგოგიკური წარმომადგენლები...

მოგზაობა გომადანი...

გაიკანით: ზუგდიდის „შეკარდენი“

შეიქმნა 1990 წელს. გუნდის პრეზიდენტი: რეზაზ ბიბრძი; ვიცე-პრეზიდენტი: გურამ კორძაია; მენეჯერი: ბესიკ შერაზია; მთავარი მწვრთნელი: გურამ ფიფია;

რა 1 და წაგო მხოლოდ 3 შეხვედრა, გაიტანა 36 გოლი, მიიღო 16 ბურთების სხვაობა — პლიუს 20, მოაგროვა 34 ქულა და ჯერ კიდევ რამდენიმე ტურით აღრე გაიწვია პირველი ადგილი „ლ“ ქვეჯაუფში.

ბათურია), სადაც გუნდისათვის შესანიშნავი პირობებია შექმნილი. გესაუბრებით გუნდის მთავარ მწვრთნელს გურამ ფიფიას: — ბატონო გურამ, მოგილოცავთ ქვეჯაუფში გამარჯვებას და პირველ დივიზიონში გადასვლას.

გაკავშირებთ „ოდიშთან“? — ძალიან კარგი. „ოდიშის“ წარმატება ჩვენც ხომ ხელს გვიწყობს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენი გუნდი არ არის „ოდიშის“ ფილიალი ან ე.წ. პოლიგონი. ჩვენ სრულიად დამოუკიდებელი გუნდი ვართ, ჩვენივე მიზნებით და ამოცანებით.

პირობებიც უკეთესი იქნებოდა. — როგორ აირჩიეთ ამ პრობლემის გადაჭრას, მითუმეტეს მაშინ, როცა პირველი დივიზიონში გადასვლა და ხარჯებსაც მერტს მოითხოვს? — დანაშაულებრივ გეოგრაფიას ჩაის გადაჭრის ფაბრიკა და ზოგიერთი სხვა ორგანიზაცია, მაგრამ ეს არ არის საქმარისი; უმეტესად მაინც ჩვენი ენთუზიაზმით, ფეხბურთისა და ქალაქის, მისი ღირსების მიმართ სიყვარულითა და პატრიოტიზმით...

(დასაბრუნო). — რ. გუგუჩია: — დიხ, თეორეტიკულად, კარგა ფიზიკურმა მომზადებამ.

— თქვენი საუკეთესო თამაში ამ სეზონში? — ა. ჭიჭია: — ლარჩელის „ჩელსთან“ და გადამწყვეტი თამაში თბილისის „სტუ-სთან“.

— რ. გუგუჩია: — მარტივის „ლიდიკონთან“.

— თქვენი სანუკვარი მიზანი სპორტსა და ცხოვრებაში? — ა. ჭიჭია: — რაც შეიძლება დიდხანს შემოვრჩე ფეხბურთში, გამოვავლინო ჩემი შესაძლებლობის მაქსიმუმი და, რა თქმა უნდა, ცხოვრებისეული ზედნიერება.

— რ. გუგუჩია: — ცხოვრებაში ზედნიერი და ჯანსაღი იკისის შექმნა, სპორტში კი „ლიდიკონის“ შემადგენლობაში რომელიმე ევროპული საკლუბო თასის მოგება — ეს უფრო შორეული ამოცანაა, უახლოესი კი პირველი ლიგაში ადვილის დამპყრობა.

ვიღრება. — გენდი საუკეთესო იყო ყველა მანქანებელით, მათ შორის დისციპლინითაც.

— როგორ მიაღწიეთ ასეთ კარგ მანქანებელს? — ვეცითების ვუნდის შენეწერს ბესიკ ველაზაზე:

- 1. ა. ჩხეტიანი (1967 წ. 16 თამაში);
2. ბ. ხვიციანი (1962 წ. 16 თამაში, 5 გოლი);
3. რ. მამაკაძე (1965 წ. 16 თამაში, 2 გოლი);
4. ა. კვეციანი (1965 წ. 16 თამაში);
5. მ. კორძია (1961 წ. 15 თამაში, 4 გოლი);
6. ლ. ხოლბაია (1972 წ. 14 თამაში, 2 გოლი);
7. ა. ჯიქია (1968 წ. 16 თამაში, 2 გოლი);
8. რ. გუგუჩია (1973 წ. 14 თამაში, 1 გოლი);
9. ზ. კიკნაძე (1962 წ. 14 თამაში, 2 გოლი);
10. ვ. ბარბაქაძე (1968 წ. 16 თამაში, 14 გოლი);
11. ა. მარაშვილი (1966 წ. 15 თამაში, 1 გოლი);
12. დ. შაველი (1965 წ. 7 თამაში, 2 გოლი);
13. ბ. სირაჯიანი (1964 წ. 7 თამაში, 2 გოლი);
14. თ. წითელიძე (1962 წ. 3 თამაში);
15. დ. გუგუჩია (1972 წ. 4 თამაში);
16. ა. ბაღვაში (1973 წ. 9 თამაში);
17. მ. წულაია (1969 წ. 10 თამაში);

რომან გობინია, ჩვენი კორ.

ტურისტული მოგზაურობები საჯროთა განეთავით კლუბი „ზუგდიდი-91“ გთავაზობთ;

1. 5 დღიან მოგზაურობას უზღვევთ მარტო.
2. 7 დღიან მოგზაურობას უზღვევთ მარტო.
3. 10-17 სექტემბრიდან ჩინეთის უძველეს...

საჯროთა ტურისტული კლუბი აწარმოებს ტურისტული კომპორტები.
კლუბი აწარმოებს ტურისტული კომპორტები...

ზამოსათომობარი
ნუნუ ჯიჯისია-პატარავი
მთელი და თავიარადი...
შენი მიზანმიმართული...

თამარ ლურჯაია
ქ. ზუგდიდის პედაგოგიური საზოგადოების რიგებს გამოაკლდა...
რედაქტორი აბ. ხანთუბია.

ზუგდიდის ცენტრალური სტადიონი
18 აპრილს 1991 წელს
საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა
„ოლივი“ ზუგდიდი — „რიუხაგორი“ (თურქეთი).

ქვეყნის-ლატარია
ამა წლის 25 აგვისტოს შალვა დადიანის სახ. სახელმწიფო თეატრში ჩატდება ლატარიის გათამაშება, ლატარიაში გათამაშდება მოგება:
25000 მან.
10000 მან.
5000 მან.
ათი ცალი 1000 მან.

მეფულე შალიკო. შეიღებები: ნატო, რობა, ბიძინა. მძობი: ლუკონი, ზურბი, დები: ვარო, ეფერი, ნანული, ნირა ფაცაცივი.
მუღი ყენია, მაჭლები შოთა, ხეტა ლუკავები. რძლები: ქეთო, ვენერა, ბენიშა, ბუჯა, ლენა.
სიძეები: ელგუჯა მოსია, ბუთხოზ ხელია, ვიტა მესხი, შვილიშვილები: თეა, თამარი, ნანა, ნინკო მოსიები, გოგია, ბათა ხელია. ბიძა აბრამი ცერტაშვილი, დედები: ზინა ქვინია, ამისვილები, დისვილები, მარაშვილები, ბიძაშვილები, დედისვილები და ახლო ნათესავები იწყებიან.

მეფულე შალიკო. შეიღებები: ნატო, რობა, ბიძინა. მძობი: ლუკონი, ზურბი, დები: ვარო, ეფერი, ნანული, ნირა ფაცაცივი.
მუღი ყენია, მაჭლები შოთა, ხეტა ლუკავები. რძლები: ქეთო, ვენერა, ბენიშა, ბუჯა, ლენა.
სიძეები: ელგუჯა მოსია, ბუთხოზ ხელია, ვიტა მესხი, შვილიშვილები: თეა, თამარი, ნანა, ნინკო მოსიები, გოგია, ბათა ხელია. ბიძა აბრამი ცერტაშვილი, დედები: ზინა ქვინია, ამისვილები, დისვილები, მარაშვილები, ბიძაშვილები, დედისვილები და ახლო ნათესავები იწყებიან.

მეფულე შალიკო. შეიღებები: ნატო, რობა, ბიძინა. მძობი: ლუკონი, ზურბი, დები: ვარო, ეფერი, ნანული, ნირა ფაცაცივი.
მუღი ყენია, მაჭლები შოთა, ხეტა ლუკავები. რძლები: ქეთო, ვენერა, ბენიშა, ბუჯა, ლენა.
სიძეები: ელგუჯა მოსია, ბუთხოზ ხელია, ვიტა მესხი, შვილიშვილები: თეა, თამარი, ნანა, ნინკო მოსიები, გოგია, ბათა ხელია. ბიძა აბრამი ცერტაშვილი, დედები: ზინა ქვინია, ამისვილები, დისვილები, მარაშვილები, ბიძაშვილები, დედისვილები და ახლო ნათესავები იწყებიან.

ინფორმაციის მიწოდების საშუალებები:
ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 56. ტელეფონები: რედაქტორის 2-21 80, რედაქტორის მოადგილის მეურნეობის განყოფილების 2-21 78, მშრომელთა წერილების 2-25 12, რედაქტორის 2-21 00.
ბეჭდვა: საქართველოს კავშირგაბმულობის სისტემის სტამბა. მერაბ კოსტავას ქ. 75, 2-23 07, ტირანის 2550. ტელეფონი: 2-23 00.